ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 10/10

ქ. თბილისი 24 იანვარი, 2014 წელი

ერთის მხრივ ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ქონების მართვის სააგენტო“ (შემდგომში – „დამკვეთი“), მისი უფროსის - დავით ჭედიას სახით და მეორეს მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში – „შემსრულებელი“), თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის მოადგილის - მინდია ჯოხაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ადგილობრივი ბიუჯეტის და/ან ქონების მართვის სააგენტოს საკუთარი შემოსავლებით/სახსრებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ავტორიზებული პირის მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის ფორმით.

1.2 „შემსრულებელმა“ უნდა უზრუნველყოს „დამკვეთის“ ავტორიზაცია ხელშეკრულების მოქმედების ვადით და „განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის ელექტრონული წიგნის“, ასევე, იმ ელექტრონული პროგრამების ხელმისაწვდომობა, რომლებიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დაინერგება და აუცილებელი იქნება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად.

1.3 ავტორიზაციის ფარგლებში, „დამკვეთი“ უფლებამოსილია, სარეგისტრაციო წარმოებაში მონაწილეობა მიიღოს როგორც დაინტერესებულმა პირმა, ისე მესამე პირის განცხადების წარმომდგენმა.

1.4 „დამკვეთს“ შეუძლია სარეგისტრაციო წარმოებისთვის კანონმდებლობით დადგენილი განცხადებისა და უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან/და სხვა დოკუმენტის (ინფორმაციის) დედნების წარმოდგენამდე გამოგზავნოს ამ დოკუმენტების ელექტრონული ასლები. ამ შემთხვევაში „დამკვეთი“ პასუხისმგებელია ამ ასლების დედნებთან შესაბამისობაზე.

1.5. „დამკვეთი“, რომელიც აწარმოებს სარეგისტრაციო წარმოებისთვის კანონმდებლობით დადგენილი განცხადების რეგისტრაციას და გამოგზავნის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონულ ასლებს, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ელექტრონული განცხადების და უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან/და სხვა დოკუმენტის (ინფორმაციის) დედნები, განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში, წარმოადგინოს შემსრულებელსა სააგენტოსა ან/და ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში. აღნიშნული ვადის დარღვევა გამოიწვევს ავტორიზაციის გაუქმებას და ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტას.

1.6. „დამკვეთი“, რომელიც არ აწარმოებს განცხადების რეგისტრაციას და წარმოადგენს ან/და არ წარმოადგენს სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონულ ასლებს, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ელექტრონული განცხადების და უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან/და სხვა დოკუმენტის (ინფორმაციის) დედნები წარმოადგინოს ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში განცხადების რეგისტრაციისთვის.

1.7. „დამკვეთი“ მოვალეა შემსრულებელთან სააგენტოსთან შეთანხმებული ფორმით და წესით წარმოდგენილი ელექტრონული ასლის დოკუმენტაციის დედანი გადასცეს სააგენტოს ან/და ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურს, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ავტორიზაციის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2 ავტორიზაციის საერთო ღირებულება შეადგენს 10,96 (ათი ლარი და ოთხმოცდათექვსმეტი თეთრი) ლარს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 „შემსრულებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთის მოთხოვნებს.
3.2 ავტორიზაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შემსრულებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოს დამკვეთის ავტორიზაცია „განცხადებებისა და უფლებების რეგისტრაციის ელექტრონული წიგნის“ პროგრამულ უზრუნველყოფაში.
4.2 „შემსრულებელი“ ვალდებულია სრულყოფილად უზრუნველყოს „დამკვეთის„ მომსახურება.
4.3 მომსახურების გაწევის ადგილად ითვლება ქ. თბილისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ავტორიზაციით უზრუნველყოფა ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, დამკვეთისა და შემსრულებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 ავტორიზაციის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 ანგარიშსწორება დამკვეთის მიერ მოხდება ავტორიზაციის უზრუნველყოფისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, „შემსრულებელი“ ვალდებულია წარმოუდგინოს „დამკვეთს“ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. წინააღმდეგ შემთხვევაში, „დამკვეთს“ უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.
6.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 **დამკვეთს უფლება აქვს:**
- შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
-მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების ადგილზე ადგილი ადგილი და

7.2 **„დამკვეთი ვალდებულია“:**
- წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს შემსრულებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ,
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 **„შემსრულებელს“ უფლება აქვს:**
- მოსთხოვოს დამკვეთს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად,
- მოითხოვოს დამკვეთს ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 **„შემსრულებელი“ ვალდებულია:**
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, რაზედაც უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელშიც უნდა იყოს მითითებული დამატებითი ვადები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება/შეტყობინება.
8.3 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
8.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.
8.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 24 იანვრიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთისა და/ან შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 „დამკვეთი" უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 მუხლში აღნიშნული პირი.
13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს შემსრულებელს დაწუნებული მომსახურებისა და წუნდების მიზეზების მითითებით.
13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და

აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი დამკვეთთან და მეორე პირი შემსრულებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სსიპ – საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტო

მისამართი: ქ. თბილისი,
წმ.ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. N2
ტელ.: ტელ: (995 322) 25 15 28
ს/კოდი 202238621
ს.ს "საქართველოს ბანკი",
BAGAGE22; ა/ა:.
GE47BG0000000175190500
ს/კ:. 202238621

მინდია ჯოხაძე
თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო
სამსახურის უფროსის მოადგილე

სსიპ ,,ქონების მართვის სააგენტო"

მისამართი: ქ. თბილისი,
ჟ. შარტავას N, 7
ტელ: (995 32) 378127 ;
ს/კ:. 205296375
სს „ლიბერთი ბანკი"
კოდი: LBRTGE22
ა/ა # GE95LB0125152101627000
ა/ა # GE11LB0121133567228000

დავით ჭედია
სააგენტოს უფროსი